

განმარტებითი ბარათი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მიღებული კანონებით, რომელთა თანახმადაც შეცვლილია სარეგისტრაციო ორგანოთა ამოცანები და უფლებამოსილებები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს იმ სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრას, რომელიც არსებობს და „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონებს შორის. კერძოდ, „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგისტრაციაში ატარებდა საწარმოო წესით დამზადებულ ცხოველთა საკვებსა და საკვებდანამატებს და ვინაიდან, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონები აღარ ითვალისწინებენ აღნიშნული სახის რეგისტრაციებს, თავისთავად გამოირიცხა ამ სახის სარეგისტრაციო მოსაკრებლების არსებობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნა ის პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ რეგისტრაციის იმ სახეებს, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ასეთი რეგისტრაციისათვის გარკვეულ მოსაკრებელს, მაგრამ 2005 წლის 28 დეკემბერს მიღებული „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონები აღარ ითვალისწინებენ აღნიშნული სახის რეგისტრაციებს, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ მოსაკრებლების არსებობას.

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: „პესტიციდების რეგისტრაცია – 300

ლარი“. აღნიშნული ცვლილებით გამარტივდება პესტიციდების რეგისტრაცია, რადგან დღეისათვის სხვადასხვა სახის პესტიციდის რეგისტრაცია სხვადასხვა სახის სარეგისტრაციო მოსაკრებლით ხდება. წარმოდგენილი პროექტით ყოველგვარი პესტიციდის რეგისტრაცია ერთი სახის სარეგისტრაციო მოსაკრებლით განხორციელდება და მისი ოდენობა 10-ჯერ და მეტჯერ შემცირდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის საშუალებების და ზრდის რეგულატორების სარეგისტრაციო ორგანოში 2004 წელს რეგისტრაცია გაიარა სულ 80 პრეპარატი: 14 ახალი მოქმედი ნივთიერება და პროდუქტი, 3 ახალი პრეპარატული სახე, 25 ანალოგი, 43 პრეპარატი დარეგისტრირდა ხელახალი ვადით, 1 გამოყენების სფეროს გაფართოების მიზნით. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია სარეგისტრაციო მოსაკრებელი 115885 ლარის ოდენობით.

2005 წელს რეგისტრაცია გაიარა სულ 60 პრეპარატი: 9 ახალი მოქმედი ნივთიერება და პროდუქტი, 6 ახალი პრეპარატული სახე, 20 ანალოგი, 25 პრეპარატი დარეგისტრირდა ხელახალი ვადით. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია სარეგისტრაციო მოსაკრებელი 87175 ლარის ოდენობით.

2006 წლის რეგისტრაციის საორიენტაციო გეგმაში შეტანილია სულ 70 პრეპარატი: 12 ახალი მოქმედი ნივთიერება, 6 ახალი პრეპარატული სახე, 36 ანალოგი, 15 პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია, 3 პრეპარატის სფეროს გაფართოება. მოქმედი მოსაკრებლის მიხედვით ბიუჯეტში შესატანი საორიენტაციო თანხა იქნებოდა 101950 ლარი, სადაც შედიოდა ინსტიტუტებზე და ექსპერტებზე გადასარიცხი სახელშეკრულებლო თანხა და სარეგისტრაციო ორგანოს მიერ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

კანონპროექტის მიხედვით, 300 ლარის შემთხვევაში, 70 პრეპარატის დარეგისტრირებაზე საორიენტაციო თანხა იქნება 21000 ლარი, რომელიც შეიტანება ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით. თუმცა აღნიშნულ მოსაკრებელში აღარ შედის ინსტიტუტებზე და ექსპერტებზე გადასარიცხი სახელშეკრულებლო თანხები და სარეგისტრაციო ორგანოს მიერ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, ვინაიდან აღნიშნულ მომსახურებას რეგისტრაციის მსურველები განახორციელებენ დამოუკიდებლად ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სახელშეკრულებლო თანხების საფუძველზე, რომელშიც შედის ექსპერტების 2-ჯერ გაზრდილი ხელფასი (გამომდინარე ხელფასების მატებიდან 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა), 5-ჯერ გაზრდილი სამივლინებო თანხები (3 ლარის ნაცვლად 15 ლარი დღიური და 1.5-ჯერ

გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯები), 2-ჯერ გაზრდილი შესხურებაზე დაკავებული მუშა-ხელის ანაზღაურება (10 ლარის ნაცვლად 20 ლარი), 2-ჯერ გაზრდილი შემასხურებელი ტექნიკის ამუშავებისთვის საჭირო საწვავის ღირებულება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები გადარიცხავენ ბიუჯეტში სავარაუდო სახელშეკრულებლო თანხის (203900 ლარი) 18 % (36702 ლარს) დღგ-ს სახით. გარდა ამისა გადახდილი იქნება სამუშაოებზე დაკავებული პერსონალის საშემოსავლო, სოციალური და სხვა გადასახადები, აგრეთვე მოგების 20%, რაც იქნება ბიუჯეტის შევსების დამატებითი საშუალება.

ამავდროულად შემცირდება სახელმწიფო ორგანოს სარეგისტრაციო ხარჯები ბიუჯეტიდან, ვინაიდან სამსახური რეგისტრაციის განსახორციელებლად ყოველწლიურად ხარჯავდა შეტანილი თანხის 80%-ის ექვივალენტს ბიუჯეტიდან, რომელიც ქვეყნისათვის პესტიციდების რეგისტრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე გათვალისწინებული იყო სამსახურის ბიუჯეტში აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსებლად.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

კანონპროექტი გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი პესტიციდის რეგისტრაცია ერთი სახის სარეგისტრაციო მოსაკრებლით განხორციელდება და მისი ოდენობა 10-ჯერ და მეტჯერ შემცირდება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრონციპი):

პესტიციდების რეგისტრაციისათვის გაწეული მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

- I. სარეგისტრაციო გამოცდისა და ექსპერტიზის კოორდინაცია:
 1. რეგისტრაციაში მონაწილე ორგანიზაციებთან კოორდინაციისათვის კავშირგაბმულობის ხარჯები: საშუალოდ დღეში $30\text{წთ} \times 0.30\text{ლარი} \times 6\text{თვე} = 54\text{ლარი}$.
 2. სარეგისტრაციო მასალების გამრავლება: $100\text{გვ} \times 0,05\text{ ლარი} = 5\text{ ლარი}$.
- II. სარეგისტრაციო გამოცდისა და ექსპერტიზის შედეგების განხილვა და რეგისტრაციაში გატარება:
 1. პესტიციდის „რისკი/სარგებლობის“ სტანდარტის შესაბამისად რეგისტრაციაში გატარების დასკვნისა და სარეგისტრაციო მოწმობის ტექსტის დაბეჭდვა-გამრავლება: $11\text{გვ} \times 1\text{ლარი} = 11\text{ ლარი}$.

2. რეგისტრირებულ პესტიციდზე რეგლამენტის, ინსტრუქციების, წესების, მეთოდური მითითებების, რეკომენდაციებისა და სხვა მასალების მომზადება-დაბეჭდვა: 30გვ.^x1ლარი = 30 ლარი.

3. საკანცელარიო საქონელი – 20 ლარი.

4. ნორმატიული აქტების დაბეჭდვა იუსტიციის სამინისტროს „საკანონმდებლო მაცნეში“: 1გვ.^x 18ლარი, სულ 10 გვერდი = 180 ლარი.

სულ – 300 ლარი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შესათანხმებლად დაგზავნილ იქნა კომპეტენციისამებრ სამინისტროებში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულებები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტთან დაკავშირებით სამინისტროებს შენიშვნები არ გააჩნიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.